სემინარის ანგარიში

მოსამართლეთა ასოციაციების როლი დამოუკიდებელ და ანგარიშვალდებულ სასამართლო სისტემაში

სასამართლო რეფორმატორთა საერთაშორისო ქსელი

2023 წლის 6 ივლისი

ავტორი: სიმონე ბენვენუტი

მომხსენებლები:

სიმონე ბენვენუტი - რომა ტრეს უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის შედარებითი საჯარო სამართლის ასოცირებული პროფესორი/იტალია

იან ოლზანოვსკი - პოზნანის უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი, ადმინისტრაციული და ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფაკულტეტი/ პოზნანის რაიონული სასამართლოს მოსამართლე/პოლონეთი

სილვიო რობერტო ვინჩეტი - მოდენას და რეჯიო ემილიას უნივერსიტეტის შედარებითი კონსტიტუციური სამართლის მკვლევარი/იტალია

მოდერატორი:

მადონა მაისურაძე - რუსთავის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე/ საქართველო

პრობლემის მოკლე აღწერა

მოსამართლეთა ასოციაცია არის *„ნებაყოფლობითი* ორგანიზაცია, შექმნილი მოსამართლეთა პროფესიული ინტერესების დასაცავად“ (Beers 2012). მოსამართლეთა ასოციაციები სულ უფრო მეტ აქტუალურობას იძენენ პლურალისტურ

დემოკრატიებში (Pederzoli – Guarnieri 2008), ისევე როგორც ავტორიტარული მმართველობის სისტემებში (საერთაშორისო იურისტების კომისია 2016). ისინი აღიარებულნი არიან ასევე საერთაშორისო დოკუმენტებში (Kneievik Bojovic – Misailovic 2022), კერძოდ, „ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს“ (CCJE) 2020 წლის დასკვნაში №23 „მოსამართლეთა ასოციაციების როლის შესახებ სასამართლოს დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად“, ხოლო მხარდაჭერის პროგრამები და ზოგადად საერთაშორისო თანამშრომლობა მოწოდებულნი არიან, რომ გააძლიერონ მოსამართლეთა ასოციაციები გარდამავალ სახელმწიფოებში (Beers 2012).

მზარდი აქტუალობის მიუხედავად, მოსამართლეთა ასოციაციები მეტწილად იგნორირებულია მეცნიერული კვლევების მხრიდან და მხოლოდ რამდენიმე ნაშრომში იქნა მათი რეალური როლი აღწერილი (Trochev 2018, Castillo Ortiz 2017, Beers 2012) მიუხედავად მრავალი მოწოდებისა, რომ შეფასებული იქნას სასამართლო მმართველობის სხვადასხვა აქტორის როლი (Kosař 2018). ეს სავარაუდოდ განპირობებულია იმით, რომ მოსამართლეთა ასოციაციები არ არიან აღიარებულნი კონსტიტუციურ და სამართლებრივ დოკუმენტებში, მცირე გამონაკლისების გარდა, და მათ არ გააჩნიათ საჯარო ან სახელმწიფოებრივი ფუნქციები. ევროკავშირის მასშტაბით, მხოლოდ საბერძნეთისა და ესპანეთის კონსტიტუციურ დოკუმენტებშია შემდეგი დებულება მითითებული: „დაშვებულია მაგისტრატ მოსამართლეთა გაერთიანების შექმნა“ და „კანონი უნდა ითვალისწინებდეს მოსამართლეთა, მაგისტრატ მოსამართლეთა და პროკურორების პროფესიული ასოციაციების სისტემებისა და მეთოდიკის შემუშავებას“ (Bojovic – Misailovic 2022). მსგავსი დებულება არცერთი სხვა ქვეყნის კონსტიტუციაში არ იძებნება. რამდენიმე ქვეყნის კონსტიტუცია მკაფიოდ კრძალავს მოსამართლეთა მონაწილეობას კონკრეტული სახის საქმიანობაში, კერძოდ კი პოლიტიკურ ან ეკონომიკურ აქტივობებში, ან პოლიტიკურ პარტიებსა თუ პროფკავშირულ გაერთიანებაში გაწევრიანებას.[1] ეს

[1] პოლონეთის კონსტიტუციის თანახმად, „მოსამართლე არ უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, პროფკავშირს და არ უნდა ასრულებდეს საჯარო საქმიანობას, რაც არღვევს სასამართლოსა და მოსამართლის დამოუკიდებლობის პრინციპებს“ (იგივეა გათვალისწინებული ესპანეთის კონსტიტუციით: „მოსამართლეებს და მაგისტრატ მოსამართლეებს, ისევე როგორც პროკურორებს, თანამდებობაზე ყოფნისას, ეკრძალებათ სხვა საჯარო თანამდებობის დაკავება და პოლიტიკური პარტიების ან გაერთიანებების წევრობა“). ლიტვის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ „მოსამართლეებს არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური პარტიებისა და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაში“. სლოვენიის კონსტიტუციაში ნათქვამია, რომ მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია „სხვა სახელმწიფო ორგანოში, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოში და პოლიტიკური პარტიების ორგანოებში და კანონით გათვალისწინებულ სხვა სამსახურებში არსებულ თანამდებობებთან და საქმიანობასთან“. უკრაინის კონსტიტუციის თანახმად, „მოსამართლე არ უნდა ეკუთვნოდეს პოლიტიკურ პარტიას, პროფკავშირს, არ უნდა იღებდეს მონაწილეობას რაიმე პოლიტიკურ საქმიანობაში, ფლობდეს წარმომადგენლობით მანდატს, ეკავოს სხვა ანაზღაურებადი თანამდებობა, ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად

შესაძლოა გულისხმობდეს იმას, რომ მოსამართლეს, როგორც ნებისმიერ მოქალაქეს, კონსტიტუციურ დემოკრატიულ სახელმწიფოში, უფლება აქვს შექმნას პროფესიული გაერთიანება ან გაწევრიანდეს მასში. მოსამართლის ეს უფლება ასევე დაცულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიერ (Gisbert 2022).

ნებისმიერ შემთხვევაში, განურჩევლად ნებისმიერი კონსტიტუციური თუ სამართლებრივი აღიარებისა, მოსამართლეთა ასოციაციები რეალურად არსებობენ, ხშირად არიან სასამართლო მმართველობის საკვანძო აქტორები და ჭეშმარიტად ადვოკატირებენ სასამართლოს ინტერესებს სახელმწიფოსთან და საზოგადოებასთან ურთიერთობებში, იქნება ეს სექტორული თუ სხვა ინტერესები (Golubovic 2009). თუმცა, მათი რეალური ზეგავლენა სასამართლო მმართველობაზე, აგრეთვე ის პირობები, სადაც შესაძლებელი იქნება მათი ეფექტის შეფასება დადებითი ან უარყოფითი კუთხით, საკმაოდ ბუნდოვანია. სემინარის მიზანი იყო ნიადაგის მომზადება სხვადასხვა ასპექტების ანალიზისთვის, რომლებიც აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული მოსამართლეთა ასოციაციების - მხოლოდ *ეროვნული* გაერთიანებების და არა *საერთაშორისო* ქსელების ან ასოციაციების - როლის შედარებითი შეფასებისას. საბოლოო ამოცანას წარმოადგენს ანალიტიკური ბაზის შექმნა, რათა აღქმული იქნას ის პირობები, სადაც მოსამართლეთა ასოციაციებს შეეძლებათ დადებითი ან უარყოფითი გავლენა მოახდინონ დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებაზე, ასევე გარკვეული სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება მათ ფორმალურ რეგულირებასთან დაკავშირებით.

ძირითადი მიგნებები

სემინარზე განხილული იქნა ოთხი ძირითადი ასპექტი:

ა) მოსამართლეთა ასოციაციის ფუნქციები;
ბ) მოსამართლეთა ასოციაციის ტიპები;
გ) მოსამართლეთა ასოციაციის სისტემის სტრუქტურა;
დ) მოსამართლეთა ასოციაციის გავლენა და რისკები.

სამუშაოს გარდა აკადემიური, პედაგოგიური ან შემოქმედებითი საქმიანობისა“. სლოვაკეთის კონსტიტუცია უკრძალავს მოსამართლეს ნებისმიერ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობას.
პორტუგალიისა და რუმინეთის კონსტიტუციები ერთადერთია, სადაც ზოგადადაა ნახსენები მოსამართლის თანამდებობის შეუთავსებლობა ნებისმიერ სხვა საჯარო ან კერძო თანამდებობისადმი, და მხოლოდ დაშვებულია პედაგოგიურ საქმიანობასთან დაკავშირებით რამდენიმე გამონაკლისი.

ა) მოსამართლეთა ასოციაციის ფუნქციები

მოსამართლეთა ასოციაციები რამდენიმე ფუნქციას ასრულებენ. ერთ-ერთი ტიპური ფუნქციაა **მოსამართლეთა შრომითი, ან უფრო ვრცლად, პროფესიული ინტერესების, ადვოკატირება:** ხელფასები, სამუშაო პირობები, პროფესიული გადამზადება და ა.შ. ეს ფუნქცია თითქმის ყველა მოსამართლეთა ასოციაციის წესდებაშია მითითებული, ისეთებშიც კი, რომელიც აშკარად მოსამართლეთა გაერთიანების იდეოლოგიურ მოდელს შეესაბამება (იხ. ქვემოთ). შესაბამისად, პოლონეთში მოქმედი ასოციაცია Iustitia-ს ერთ-ერთი სამართლებრივი მიზანია „წარმოადგენდეს სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალურ და სოციალურ ინტერესებს" და ხელი შეუწყოს „მოსამართლეთა თემის ინტეგრაციას, ასევე მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს მოსამართლეებს, ყოფილ მოსამართლეებს, მათ შორის, უმუშევარ ან პენსიაზე მყოფებს, ასევე მათ ოჯახებს, რომლებსაც შესაძლოა რთულ პირობებში უწევდეთ ცხოვრება". უნგრეთის მოსამართლეთა გაერთიანება MABIE-ის მიზნებს შორის სახელდება „მოსამართლეთა საცხოვრებელი და სამუშაო პირობების მუდმივი გაუმჯობესება" და ამ მიზნით გაერთიანება „ადვოკატირებს მოსამართლეთა სოციალურ და მატერიალურ ინტერესებს", მოსამართლეთა და ადვოკატთა სხვა პროფესიულ ორგანოებთან და პროფკავშირებთან თანამშრომლობის გზით. საფრანგეთში, „Union Syndicale des Magistrats" პოზიციონირებს როგორც აპოლიტიკური ასოციაცია, რომელიც იცავს მოსამართლეთა დამოუკიდებლობას, მათ მატერიალურ და მორალურ ინტერესებს. პორტუგალიაში, „Associação Sindical dos Juízes Portugueses" „უზრუნველყოფს მოსამართლეთა სოციალური, კულტურული, მორალური, პროფესიული თუ ეკონომიკური ინტერესების წარმომადგენლობასა და დაცვას" და „იცავს და ხელს უწყობს სასამართლო სისტემის წარმომადგენლებში სოლიდარობისა და ერთიანობის გაძლიერებას". ესპანეთში, „Asociación Profesional de la Magistratura "„იცავს თავისი წევრების პროფესიულ უფლებებსა და ინტერესებს".

ამ უკანასკნელთან ნაწილობრივ კავშირშია **მოსამართლეთა პროფესიული იდენტობის ჩამოყალიბებაში** დახმარების გაწევის ფუნქცია (Beers 2012). ამ ასპექტს დიდი ყურადღება დაეთმო 2020 წლის CCJE-ის დასკვნაში:

> „მოსამართლეთა ასოციაციის მკაფიო მიზანია საკუთარი წევრებისგან ქსელის შექმნა. იგი აერთიანებს მოსამართლეებს, რომლებიც ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს დამოუკიდებლად ან მოსამართლეთა კოლეგიის ფარგლებში, თუმცა გააჩნიათ საერთო ინტერესები და საჭიროებები. მოსამართლეებს შორის დიალოგისა და კრიტიკული დისკუსიების შესაძლებლობის უზრუნველყოფა აუმჯობესებს მათ დამოუკიდებლობას სასამართლო ხელისუფლების შიგნით

> გაჟღერებული თვითკრიტიკის წყალობით და აყალიბებს ღირებულებებზე დაფუძნებული მართლმსაჯულების ძლიერ სისტემას. ასოციაციაში გაწევრიანებით, მოსამართლეები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებასა და საუკეთესო პრაქტიკებს, რაც განსაკუთრებით სასარგებლოა იმ შემთხვევებში, როდესაც ერთად იყრიან თავს სასამართლოს სხვადასხვა ფენისა და იურისდიქციის მოსამართლეები. მოსამართლეთა ასოციაცია ასევე არის ადგილი, სადაც სპეციალიზებული მოსამართლეები იღრმავებენ ცოდნას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კანონმდებლობის თანმიმდევრულ გამოყენებას. და ბოლოს, მოსამართლეთა ასოციაციები უზრუნველყოფენ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის საერთო სულისკვეთების გაძლიერებას".

მოსამართლეთა ასოციაციების ზემოთ აღნიშნული მნიშვნელოვანი ფუნქციის კონკრეტული გამოვლინებაა სხვადასხვა ღონისძიებები: კონფერენციები, სემინარები, შეხვედრები, დისკუსიები, იურიდიული ჟურნალების გამოცემა, ტრენინგების ორგანიზება და ქცევის კოდექსის შემუშავება (Zeller 2019). პოლონური გაერთიანება Iustitia, წესდების თანახმად, ვალდებულია „დაეხმაროს საკუთარ წევრებს პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და მოსამართლის ფუნქციის შესასრულებლად სასარგებლო ცოდნის შეძენაში", ასევე უზრუნველყოს „სასამართლოების დამოუკიდებლობისა და მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერება". მას შემდეგ, რაც ბოლო ხანებში გატარებული კონსტიტუციური ცვლილებებით დაკონკრეტდა სასამართლო სისტემის ხელში ჩაგდების ღონისძიებები, პოლონელ მოსამართლეთა ასოციაცია Iustitia-მ ბევრი იბრძოლა იმისთვის, რომ გამოესწორებინა „მედიის მიერ გავრცელებული ცრუ ინფორმაცია სასამართლო სისტემის შესახებ, რათა საზოგადოების თვალში დაეცვა სამართლიანობისა და სასამართლოს რეპუტაცია" და შეასრულა „მნიშვნელოვანი ინტეგრაციული როლი და შეიმუშავა ეთიკური ქცევის სტანდარტები მოსამართლეებისათვის, რომლებიც აწყდებიან ახალ გამოწვევებს დამოუკიდებლობის შენარჩუნების გზაზე" (Sledzinska-Simon 2018). უნგრეთში MABIE-ი „აორგანიზებს კურსებს, ლექციებს, პროფესიულ სემინარებს, ღონისძიებებს მოსამართლეთა ინტელექტუალური და კულტურული განვითარებისათვის, გამოსცემს მოსამართლის ჟურნალს" და ხელს უწყობს „მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ამოქმედებას". მართლაც, MABIE-მ 2005 წელს შეიმუშავა ქცევის კოდექსი, რომელიც 2014 წელს ახალი რედაქციით ჩანაცვლდა კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების შედეგად, რომლის თანახმად იგივე ამოცანის შესრულება დაეკისრა იუსტიციის ეროვნულ საბჭოს (Gyöngyi 2020). საფრანგეთში მოქმედი გაერთიანება „Union syndicale des magistrats", წესდების

თანახმად, ვალდებულია უზრუნველყოს „სამართლისა და სასამართლო სისტემის წინსვლა, რათა მიღწეული იქნას მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობისა და ეფექტური, სანდო და ჰუმანური მართლმსაჯულების გაძლიერების მიზანი“; პორტუგალიური ასოციაცია ASJP-ი უზრუნველყოფს „მოსამართლის როლის რესპექტაბელურობაზე მუდმივ ზრუნვას, კერძოდ კი მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვასა და ამგვარი დაცვის მიზნით სპეციალური სამსახურების ჩამოყალიბების გზით“.

ნორმატიული დებულებების გარდა, არსებობს მოსამართლეთა ასოციაციების კარგი მაგალითებიც, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასამართლო ხელისუფლების პროფესიონალიზაციაში. სილვიო ვინჩეტიმ, თავის პრეზენტაციაში იტალიურ ქეისზე საუბრისას, დამსწრეთ გააცნო მოსამართლეთა ასოციაციების აქტუალურობი 1960-იან და 1970-იან წლებში. 1994 წელს „იტალიის მაგისტრატ მოსამართლეთა ეროვნულმა გაერთიანებამ“ ასევე შეიმუშავა ეთიკის კოდექსი. ჩეხეთის რესპუბლიკაში, „მოსამართლეთა კავშირმა“ (Soudcovská Unie Èeské Republiky, SUÈR), გარდა იმისა, რომ ფუნქციონირების პერიოდში მტკიცედ უჭერდა მხარს სასამართლოს რეფორმას, 1999 წელს შექმნა „განათლების კომისია“ და დააორგანიზა ტრენინგ პროგრამები და ეს ყოველივე იმ დროს, როდესაც საერთოდ არ არსებობდა სამართლის სკოლა, ხოლო მოგვიანებით კი, 2005 წელს, მხარი დაუჭირა სამართლის სკოლის დაარსებას. ასევე სლოვაკეთში, „მოსამართლეთა ასოციაცია“ 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მხარს უჭერდა იურიდიული აკადემიის დაარსებას, რომელიც საბოლოოდ 2004 წელს ამოქმედდა (Spáč – Šipulová – Urbániková 2018). ნიდერლანდებში კი, „ჰოლანდიის მოსამართლეთა ასოციაციამ“ (NVvR) 2011 წელს სასამართლოს ეთიკის კოდექსი დაამტკიცა.

მოსამართლეთა ასოციაციები ასევე მონაწილეობენ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. პირველ შემთხვევაში, მოსამართლეთა ასოციაციები, როგორც კერძო გაერთიანებები, **სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი აქტორები არიან,** რომლებიც ამატებენ იურიდიულ და ექსპერტულ ცოდნას საჯარო დებატებს, ასევე აკავშირებენ სამოქალაქო საზოგადოებას სამართლებრივ და საკონსტიტუციო პროცესებთან. აღნიშნულ ასპექტთან დაკავშირებით, იან ოლზანოვსკიმ თავის პრეზენტაციაში განსაკუთრებული აქცენტი გააკეთა და მაგალითისთვის დაასახელა მონაწილეობა საერთაშორისო სასამართლოებში წარდგენილ საჩივრებში (ECJ და ECtHR) ან ფართო საზოგადოებრივ დებატებში კონფერენციებსა ან სხვა საჯარო ღონისძიებებზე, ან ინსტიტუციური ღონისძიებების, მათ შორის კანონპროექტების, მომზადება (Grabowska - Moroz – Sniadach 2021). კიდევ ერთი მაგალითი პოლონეთის

შემთხვევაში არის მოსამართლეთა ასოციაციების მიერ სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად იურიდიული დაცვის კომიტეტის შექმნა 2018 წლის ივნისში (Sledzinska-Simon 2018).

ამ მხრივ იტალიის მაგალითი განსაკუთრებით რელევანტურია: მრავალმხრივი ღონისძიებების გარდა, როგორიცაა საჯარო კონფერენციები და შეხვედრები, სილვო ვინჩეტიმ გაიხსენა 1965 წელს ქალაქ გარდონში გამართულ კონგრესზე გაჟღერებული ANM-ის (მაგისტრატი მოსამართლეების ეროვნული ასოციაცია) პოზიცია, სადაც აღნიშნული იქნა განსაკუთრებული ურთიერთობა მოსამართლეებსა და საკონსტიტუციო სასამართლოს შორის. პორტუგალიაში, ASJP-ის წესდებაში ნახსენებია შემდეგი ფუნქციები: „შესთავაზოს კომპეტენტურ სუვერენულ ორგანოებს ისეთი რეფორმები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასამართლო სისტემის გაუმჯობესებას, მოითხოვოს ასოციაციასთან კონსულტაციები შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით ნებისმიერი რეფორმის ფარგლებში; უზრუნველყოს კულტურული ღონისძიებების ჩატარება, კერძოდ სიმპოზიუმების და კონფერენციების, ასევე სტიპენდიების გადაცემა უცხო ქვეყნებში მოღვაწეობისთვის და მსგავს ინსტიტუციებთან ურთიერთგაცვლების განხორციელება; ხელი შეუწყოს იურიდიული ლიტერატურის გამოქვეყნებასა და გავრცელებას“. ასევე აღსანიშნავია ასოციაციის როლი, მითითებული ევროპული სასამართლოს მიერ თავის გადაწყვეტილებაში ASJP-ის შესახებ. რუმინეთში, „მოსამართლეთა ფორუმმა“ საკონსტიტუციო სასამართლოს წარუდგინა *amicus curiae*, რომელშიც ეჭვქვეშ დააყენა საკანონმდებლო ზომების კონსტიტუციურობა (Selejan-Guțan 2018).

მოსამართლეთა ასოციაცია ასევე ასრულებს **პოლიტიკურ ფუნქციას,** როდესაც მოქმედებს როგორც ჩვეულებრივი სახელისუფლებო სტრუქტურა და ასევე კონტრძალა ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთშეზღუდვის ფართო სისტემებში. პოლონური ასოციაცია Iustitia მოწოდებულია, რომ დაიცვას სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებები, ხელი შეუწყოს დემოკრატიის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გაერთიანება თავისი არსებობის მანძილზე არ ყოფილა ზედმეტად პოლიტიზებული, 2015 წლის შემდეგ შექმნილმა ახალმა პოლიტიკურმა კონტექსტმა, ის აქცია ხელისუფლების გაშმაგებულ ოპონენტად და სამოქალაქო აქტორად, რაც აღიარებული იქნა ბოლოდროინდელი სასამართლო რეფორმის მთავარ პოზიტიურ შედეგად (Sledzinska-Simon 2018). უნგრული ასოციაცია MABIE ატარებს შესაბამის „ზომებს მოსამართლეებისა და სასამართლოს ავტორიტეტის დაზიანებისკენ მიმართული განცხადებების

საწინააღმდეგოდ“. საფრანგეთის „Union Sydicale des Magistrats“-ი უზრუნველყოფს „სასამართლოს ფუნქციის - მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების არსებითი გარანტის - დამოუკიდებლობას“. პორტუგალიური ASJP-ი იბრძვის „pela defesa dos direitos fundamentais do Homem e pela adopção de medidas que garantam a realização de uma justiça acessível e pronta“[2] (ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დასაცავად და ისეთი ზომების გასატარებლად, რომლებიც უზრუნველყოფენ მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და სისწრაფეს). ნიდერლანდებში კი, სადაც სასამართლო კულტურა არ ახალისებს მოსამართლეთა პოლიტიზებას, მოსამართლეთა გაერთიანება, რომელსაც არ გააჩნია რაიმე ფორმალური კომპეტენცია სისტემაში, მოქმედებს სასამართლოს წარმომადგენლად სახელმწიფო ორგანოების წინაშე, ხოლო „ჰოლანდიის მოსამართლეთა ასოციაცია“, რეფორმის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების შემდგომ, ქმედით აქტორად გადაიქცა (Mak 2018).

დაბოლოს, ზოგიერთი ასოციაცია მონაწილეობს **სასამართლოს მმართველობის საკითხებში,** ვინაიდან ჩართულია ინსტიტუციურ სისტემაში და ასრულებს (მაგ. სასამართლო საბჭოებში წარმომადგენლების მეშვეობით) კანონით განსაზღვრულ მთელ რიგ ფუნქციებს: მოსამართლეების დანიშვნა, დისციპლინირება და ა.შ. სწორედ ამას უწოდებს სილვიო ვინჩეტი თავის პრეზენტაციაში მოსამართლეთა ასოციაციების „საჯარო სამართლის მნიშვნელობას“. მოსამართლეთა ასოციაციების ამგვარი ინსტიტუციური ჩართულობა შესაძლოა იყოს მრავალმხრივი. იტალიაში კანონი ANM-ს ანიჭებს ეთიკის კოდექსის შემუშავების უფლებას, ხოლო საფრანგეთში აღიარებულია ასოციაციების commission d’avancement and of the Conseil supérieur de la magistrature (კომისიის შექმნისა და უმაღლესი საბჭოს ფორმირების) როლი. კიდევ ერთი ამგვარი მაგალითი, სადაც მოსამართლეთა ასოციაცია მნიშვნელოვან როლს ასრულებს სასამართლო საბჭოს წევრების შერჩევის პროცესში, არის სლოვაკეთი, სადაც გაერთიანება მონაწილეობს კანდიდატების შერჩევის, დაწინაურებისა და დისციპლინური ზომების განსაზღვრის პროცედურაში (Spáč – Šipulová – Urbániková 2018). ესპანეთში, სასამართლო ხელისუფლების შესახებ ორგანული კანონის 572-ე მუხლში ნათქვამია, რომ სასამართლო საბჭოს წევრობის მოსურნე მოსამართლე კანდიდატს უნდა ჰქონდეს კანონიერად დაფუძნებული ასოციაციის მხარდაჭერა (Torres Pérez 2018). ბელგიის შემთხვევა საინტერესოა იმით, რომ ქვეყანამ 1999 წელს მიღებული კანონის საფუძველზე დააფუძნა „მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო“ (Conseil consultatif de la magistrature), როგორც ფორუმი, სადაც იმართება დიალოგი

[2] პორტუგალიის მოსამართლეთა პროფკავშირების გაერთიანება, წესდება, გამოქვეყნდა BTE-ში (1-ლი სერია, № 12, 29MAR01), ხელმისაწვდომია: https://www.asjp.pt/2010/03/17/estatutos/.

შესაბამის ორგანოებსა და მოსამართლეთა ასოციაციებს შორის (Bojovic – Misailovic 2022).

ამგვარი ჩართულობით, მოსამართლეთა ასოციაციები ზოგიერთ შემთხვევაში სარგებლობენ მნიშვნელოვანი უფლებებით და შეუძლიათ ჯილდოების განაწილებაც, როგორც ვიხილეთ იტალიური (Guarnieri 2013) და ესპანური მოდელების შემთხვევაში (მიუხედავად იმისა, რომ ესპანეთის საბჭოში გატარებულმა ბოლო რეფორმამ, მოსამართლეთა ასოციაციებს შედარებით შეუმცირა უფლებამოსილებები). თუმცაღა, ინსტიტუციონალურ ჩართულობას თან ახლავს რისკები: მოსამართლეთა ასოციაცია შესაძლოა თანდათანობით ტრანსფორმირდეს სახელისუფლებო სტრუქტურად, ხოლო ის მნიშვნელოვანი ფუნქციები, რომელიც მას არაფორმალურ დონეზე აკისრია, თანდათან გაუფერულდეს.

ბ) მოსამართლეთა ასოციაციის ტიპები

ფუნქციების განსხვავებულობიდან გამომდინარე (იქნება ეს წესდების თანახმად ფორმალიზებული თუ არა), მოსამართლეთა ასოციაციების თუნდაც ზედაპირული მიმოხილვა გვიჩვენებს, *რომ ყველა ასოციაცია ერთნაირი არ არის* (Castillo Ortiz 2019). არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება: ერთნი მიზნად ისახავენ სასამართლოს ყველა საფეხურის მოსამართლეთა თავმოყრას - ვუწოდოთ მათ „გენერალისტური ასოციაციები“, ხოლო მეორენი კი სპეციალიზებული გაერთიანებები არიან. ამასთან, ასოციაციები იყოფა სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. პრეზენტაციაში განხილული იქნა ხუთი კატეგორია.

მოსამართლეთა ასოციაციები **განსხვავდებიან თავიანთი მიზნებით, იქნება ეს პოლიტიკურ-იდეოლოგიური, თუ კორპორატიულ/პროფკავშირული მოდელი.**[3] ამგვარი დაყოფა ეფუძნება კვლევას, რომლის თანახმად არსებობენ მოსამართლეთა ასოციაციები, რომლებიც წარმოადგენენ მოსამართლეთა პოლიტიკურ შეხედულებებს და არსებობენ ასოციაციები, რომლებიც უფრო მეტად ორიენტირებულები არიან პროფესიულ ასპექტებზე და ესწრაფვიან ერთად შეკრიბონ სასამართლო სისტემის ყველა წარმომადგენელი (Bell 2006). უფრო ზუსტად კი, თანამედროვე საზოგადოებაში, ნებისმიერი რეფლექსია მოსამართლეობის პროფესიულ ასპექტზე გულისხმობს იდეოლოგიურ და ზოგადად პოლიტიკურ პოზიციას. ეს ნიშნავს, რომ ზოგიერთ ასოციაციას უფრო მეტად აინტერესებს ფართო სოციალურ-პოლიტიკური საკითხები, ასევე თუ როგორ უკავშირდება ეს ყველაფერი მოსამართლეობას, ხოლო სხვების

[3] როგორც პირველ სქოლიოში აღინიშნა, ეს არის ესპანეთის, პოლონეთის ან უკრაინის კონსტიტუცია.

მიზანია სასამართლოს მუშაკთა კორპორატიული, შრომითი ან პროფესიული ინტერესების დაცვა. ამ თვალსაზრისით, ისინი უფრო იხრებიან პროფკავშირული ან პროფესიული მოდელისკენ. ემპირიული დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ერთი და იმავე სისტემაში იდეოლოგიური გაერთიანებები თანაარსებობენ პროფესიულ/ უნიონისტურ ასოციაციებთან ერთად; ერთი და იგივე ასოციაცია შეიძლება იყოს ერთდროულად იდეოლოგიური, ასევე პროფკავშირული და/ან პროფესიული.

ბელის თანახმად, მოსამართლეთა ასოციაციების იდეოლოგიური მოდელი ფართოდ არის გავრცელებული ლათინურ ქვეყნებში (Bell 2006). იტალია ხშირად სახელდება ქვეყნად, სადაც მოსამართლეთა ასოციაციებს მკაფიოდ იდეოლოგიური პოზიცია უკავიათ, რაშიც იგულისხმება მეტ-ნაკლებად ფარული კავშირები პოლიტიკურ პარტიებთან (Garoupa – Ginsburg 2009). ამ თვალსაზრისით, სილვიო ვინჩეტიმ იტალიის შემთხვევაში გამოავლინა ორი პროგრესული ასოციაცია, ორი კონსერვატიული ასოციაცია, ერთი ცენტრისტული ასოციაცია და ერთიც დამოუკიდებელი ასოციაცია. ესპანეთში მკვლევარებმა შეისწავლეს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიერ მოსამართლეთა ასოციაციებთან აფილირებისა და კავშირების მეშვეობით დამყარებული პოლიტიკური კავშირები (Garoupa – Gili – Gomez-Pomar 2012; Lopéz Guerra 2001). ასევე, როგორც ცნობილია, 1985 და 2001 წლებში გატარებული ინსტიტუციური რეფორმები სასამართლო საბჭოს წევრების არჩევასთან დაკავშირებით, ასევე 2011 წელს შემოთავაზებული რეფორმა - რომელსაც მხარი დაუჭირა სხვადასხვა პოლიტიკურმა უმრავლესობამ, აშკარად განპირობებული იყო სასამართლოს თვითმმართველ ორგანოში მოსამართლეთა ასოციაციების გავლენების დაბალანსების მოტივაციით (Torres Pérez 2018).

თუმცაღა, ეს არ გამორიცხავს, რომ იტალიაში და ესპანეთში მოსამართლეთა ასოციაციები დროდადრო მხოლოდ თავიანთ პროფესიულ ინტერესებს იცავდნენ პოლიტიკური ელიტისგან. მოსამართლეთა ასოციაციების მნიშვნელოვანი ლობირების შედეგად, იტალიაში მოსამართლის ხელფასი გაიზარდა (Pederzoli – Guarnieri 1997). საფრანგეთში კი - სადაც პროფკავშირების მოდელი დომინირებს - მოსამართლეთა ასოციაციებს ახასიათებთ ძლიერი იდეოლოგიური პოზიციები. ეს იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული ორი მოდელი სულაც არ არის ერთმანეთის საპირისპირო და ურთიერთგამომრიცხავი, რადგან ერთი და იმავე გაერთიანება შეიძლება მოიცავდეს ორივე კომპონენტს.

გარდა ამისა, არახმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნებში არსებობს პოლიტიზირებულ მოსამართლეთა ასოციაციების მაგალითები. პოლონეთის ქეისი, იან ოლზანოვსკიმ ანალიზის თანახმად, ამის კარგი მაგალითია. შემთხვევითი არ არის, რომ მეორე

უმსხვილესი მოსამართლეთა ასოციაცია Themis-ის თავმჯდომარე, სულ ცოტა ხნის წინ დისციპლინური პასუხისმგებლობის სამიზნე გახდა (Grabowska-Moroz – Sniadach 2021). სლოვაკეთში, უმსხვილესი მოსამართლეთა გაერთიანება „სლოვაკეთის მოსამართლეთა ასოციაცია“, დროდადრო მკაცრად აკრიტიკებდა მეჩიარის მთავრობას, რის გამოც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ, შტეფან ჰარაბინმა გადაწყვიტა შური ეძია ასოციაციის წევრებზე და მათ წინააღმდეგ დისციპლინური დევნა დაიწყო (Spáč - Šipulová - Urbániková 2018). ჩეხეთის რესპუბლიკაში, ერთადერთი მოსამართლეთა ასოციაცია ძალზედ აქტიურად მონაწილეობდა საჯარო დისკუსიებში სასამართლო სისტემისა და მისი რეფორმირების შესახებ, ცდილობდა საკანონმდებლო ინიციატივების ხელშეწყობას, თუმცა იმავდროულად თავს იკავებდა აშკარა პოლიტიზირებისაგან.

ამის საპირისპიროდ, გერმანიაში Deutscehs Richterbund-ი სპექტრის უფრო მეტად პროფკავშირულ მხარეზე იმყოფება (Bojovic – Misailovic 2022) მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ თვალშისაცემია მოსამართლეთა ასოციაციების პოლიტიზირების პროცესი (Wittreck 2018). რუმინეთშიც, „რუმინელ მოსამართლეთა გაერთიანებამ“ თავი შორს დაიჭირა პოლიტიკური აქტივიზმისგან და ძირითადად ფოკუსირდა ხელფასებსა და მოსამართლეთა დატვირთვასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რისთვისაც სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა (Beers 2012). ეს პოზიცია, როგორც ჩანს, უკავშირდება რუმინეთში გაბატონებულ სასამართლო კულტურას, სადაც მოსამართლეებს 2004 წლამდე, კანონის თანახმად, ეკრძალებოდათ არასამთავრობო ორგანიზაციების წევრობა. სლოვენიაშიც მოსამართლეთა გაერთიანება (*Sodniško društvo*) ძირითადად მოიაზრება როგორც პროფესიული კავშირი, რომელიც უმეტესად დაინტერესებულია შრომითი ანაზღაურებით, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში კი მიმართავს გაფიცვებს მთავრობასთან წარმატებული მოლაპარაკებების საწარმოებლად (Avbelj 2018).

კიდევ ერთი განსხვავებაა **შიდა სტრუქტურა, რაც გულისხმობს იერარქიულად ორგანიზებული და ჰორიზონტალური ტიპის გაერთიანებებს.** პირველის შემთხვევაში, სასამართლოს თავმჯდომარე და ზემდგომი სასამართლო სისტემა უფრო დიდ როლს თამაშობს, ხოლო მეორეს შემთხვევაში კი, ლიდერობა რიგით მოსამართლეებს უპყრიათ ხელთ. მკვლევარები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მოსამართლეთა ასოციაციების იერარქიული ან უფრო მეტად ჰორიზონტალური სტრუქტურა დამოკიდებულია „მმართველი მფარველი ქსელ(ებ)ის სიძლიერეზე, სასამართლო იერარქიის სიხისტესა და სასამართლოს შიდა განხეთქილების ინტენსივობაზე“ (Trochev 2018). არაიერარქიული ასოციაციის კარგი მაგალითია

კვიპროსის „მოსამართლეთა გაერთიანებები“, რომელთა დებულება უკრძალავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ასოციაციაში გაწევრიანებას. სხვადასხვა მიზეზების გამო, იტალია და საფრანგეთი ასევე მაგალითებია იმ ქვეყნებისა, სადაც მოსამართლეთა ასოციაციები არ არის იერარქიული. ამის საპირისპიროდ კი, მოსამართლეთა ასოციაციები უკრაინაში, როგორც წესი, არის ჯგუფები, რომლებიც სასამართლო ოლიგარქების მიერ იმართება.

ეს იერარქიულ-ჰორიზონტალური განსხვავება შესაძლოა შევაწყვილოთ კიდევ ერთ **განსხვავებასთან, რომელიც ეფუძნება შიდა ურთიერთობებს, მოსამართლეთა პატრონაჟულ ქსელებსა და რეპუტაციაზე აწყობილ სასამართლო ჯგუფებს:** პირველი ძირითადად ორიენტირებულია ხელშესახები სარგებლისა და მუქარის მიმოცვლაზე, ხოლო მეორე კი ინფორმაციას ავრცელებს რეჟიმის საფრთხეებისა და ჯილდოების შესახებ, რითიც აფართოებს სასამართლოს ავტონომიას და უზრუნველყოფს მოსამართლეთა მობილიზებას, საჭიროების შემთხვევაში. თუმცა, ეს განსხვავება შეიძლება იყოს მცდარი. სილვიო ვინჩეტიმ, თავის პრეზენტაციაში გვიჩვენა, რომ იტალიაში მოსამართლეთა ასოციაციას შეუძლია შეასრულოს უბრალო სახელისუფლებო სტრუქტურის ფუნქციაც კი.

მომდევნო კრიტერიუმია **ღირებულებებზე დაფუძნებული, კონსერვატიული ან პროგრესული გაერთიანებები.** ამ კრიტერიუმის თანახმად, ასოციაცია არის მოსამართლეთა ჯგუფი, რომელიც იზიარებს საერთო ინსტიტუციურ და ზოგადად იდეოლოგიურ შეხედულებებს, რომლებიც როგორც წესი იკრიბება, მათ შორის, საზოგადოებაში სასამართლო ხელისუფლების როლის შესახებ არსებულ სპეციფიკურ აღქმაზე დაყრდნობით. ამ პოზიციის გასაგებად, საჭიროა შევადაროთ ერთმანეთს ორი, იდეალურ-ტიპიური მიდგომა. პირველს შეიძლება ეწოდოს კონსერვატიული მიდგომა, სადაც სასამართლოს დამოუკიდებლობა შეწყვილებულია ტრადიციულ მიდგომასთან: პირობითი პატივისცემა არსებული იერარქიული სტრუქტურების მიმართ და პრეზუმფცია იმისა, რომ მაგისტრატი მოსამართლეები იზოლირებულნი არიან გარე (არასასამართლო) სამყაროსგან (ფორმალურად აპოლიტიკური პოზიცია). ამის საპირისპიროა „პროგრესული“ მიდგომა, რომელიც სასამართლოს დამოუკიდებლობას განიხილავს პლურალისტური საზოგადოების მოდელთან და ფართო საზოგადოების მოთხოვნების სამართლებრივ სისტემაში ჩართვის მიზანთან ერთად მჭიდრო კავშირში. ამგვარად, პრინციპში შესაძლებელია მოსამართლეთა ასოციაციების იდენტიფიცირება ზემოთ აღწერილი ორი მიდგომიდან ერთ-ერთის მიხედვით.

აღნიშნული განსხვავებები მკაფიოდ შესამჩნევია საფრანგეთსა და გერმანიაში, სადაც Syndicat de lamagistrature და Neue Richtervereinigung, აშკარად პოზიციონირებენ როგორც მემარცხენები, ხოლო Union Syndicale des Magistrats და Deutscher Richertbund სპექტრის კონსერვატიულ/ქრისტიანულ-დემოკრატიულ მხარეზე იმყოფებიან (Vauchez 2018; Wittrech 2018). იან ოლზანოვსკიმ აღწერა ერთ-ერთი პოლონური გაერთიანება, Iustitia, რომელიც მოწოდებულია, რომ დაიცვას პოლონური დემოკრატიის საფუძვლები, მათ შორის თავისუფლება და სამოქალაქო უფლებები. ანალოგიურად, პოლონეთის „ადმინისტრაციული სასამართლოების მოსამართლეთა ეროვნული ასოციაცია“ მიზნად ისახავს სასამართლოების და მოსამართლეების დამოუკიდებლობის გაძლიერებას, ასევე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების პრინციპების ფართო ხელშეწყობას. სილვიო ვინჩეტის თქმით, იტალიაში „მაგისტრატი მოსამართლეების ეროვნულმა ასოციაციამ“ გარდონში გამართულ კონგრესზე 1965 წელს დაამტკიცა საბოლოო რეზოლუცია, რომლის თანახმად სასამართლო ხელისუფლებას დაევალა კონსტიტუციური პრინციპების აღსრულება, განურჩევლად იმ დროისთვის გაბატონებული სამართლებრივი კულტურისა, როდესაც მოსამართლეთა ასოციაციები საკმაოდ „აპოლიტიკურები“ იყვნენ.

დაბოლოს, გასათვალისწინებელია **წევრობაზე დაფუძნებული ფორმალური კრიტერიუმი, ღია და დახურული გაერთიანებები:** მოსამართლეთა ასოციაცია დაკომპლექტებული მხოლოდ მოსამართლეებისგან (ან უფრო ზოგადად მაგისტრატი მოსამართლეებისგან) ან დაკომპლექტებული იურისტებისა და სხვა იურიდიული პროფესიონალებისგან (მაგ., კანცელარიის მუშაკები).

გ) მოსამართლეთა ასოციაციის სისტემის სტრუქტურა

და ბოლოს, მოსამართლეთა ასოციაციის სისტემას შეიძლება ჰქონდეს მეტ-ნაკლებად პლურალისტური სტრუქტურა. ეს არ უნდა იქნას გაგებული მხოლოდ რაოდენობრივი თვალსაზრისით, ანუ სისტემაში მოსამართლეთა ასოციაციების რაოდენობით, არამედ გასათვალისწინებელია ასევე ხარისხობრივი ასპექტიც. რამდენად გამოხატავენ არსებული ჯგუფები განსხვავებულ შეხედულებებს, მაგ. იდეალური მოსამართლის ტიპისა თუ ძალაუფლების ინტერესების შესახებ? ასევე, მნიშვნელოვანია მოსამართლეთა ასოციაციების წარმომადგენლობითობის გათვალისწინებაც. ათი ასოციაციისგან დაკომპლექტებული სისტემა, რომელიც მოსამართლეთა 30%-ს აერთიანებს და სამი ასოციაციისგან შედგენილი სისტემა, რომელიც მოსამართლეთა 90%-ს აერთიანებს, სინამდვილეში განსხვავებულ შედეგებს იძლევა.

ზოგადად, ვანსხვავებთ ფრაგმენტული/კონკურენტული/პლურალისტური ტიპის სისტემებს და ერთგვაროვნებით დამახასიათებელ სისტემებს. მოსამართლეთა ასოციაციების სისტემის მეტ-ნაკლებად პლურალისტურ სტრუქტურას სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებს. მათ შორისაა, რაღა თქმა უნდა, კულტურული ფაქტორი, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება სასამართლო სისტემაში არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობას. ზომასაც აქვს მნიშვნელობა, რადგან ყოველთვის არსებობს მოლოდინი, რომ მეტი პლურალიზმი დიდ ქვეყნებში და დიდ სასამართლო სისტემებში მიიღწევა.

ჩეხეთი კარგი მაგალითია ისეთი სისტემებისა, რომლებიც **მნიშვნელოვანი ერთგვაროვნებით** გამოირჩევიან. ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი გაერთიანება - აღწერილი როგორც „ერთ-ერთი უძლიერესი მოსამართლეთა ასოციაცია ევროპაში" - რომელშიც გაერთიანებულია ჩეხეთის სასამართლო სისტემის წევრთა ნახევარზე მეტი (Beers 2012). სხვა ქვეყნებში, როგორიცაა ხორვატია, კვიპროსი, დანია, სლოვენია, პორტუგალია ან ესტონეთი, რეგისტრირებულია მხოლოდ თითო-თითო ასოციაცია.

დანარჩენი სისტემები ერთგვაროვნების ფარდობითი ხარისხით გამოირჩევიან, დომინანტური ასოციაციის და სხვა გაერთიანებების არსებობის გამო. ასეთი ქვეყნებია: სლოვაკეთი (Spáč – Šipulová – Urbániková 2018; Kosař –Spáč 2021), რუმინეთი, უნგრეთი, გერმანია ან საფრანგეთი. თუმცა, ზოგიერთ ზემოთ დასახელებულ ქვეყანაში, მათ შორის ირლანდიაში, უნგრეთსა, ბულგარეთში, სხვა გაერთიანებები, გარდა დომინანტი ასოციაციებისა, ვერ უყრიან თავს ყველა ინსტანციის სასამართლოების მოსამართლეებს საერთო იურისდიქციებიდან, ხოლო მათი წევრობა საკმაოდ ფორმალურად შემოიფარგლება კონკრეტული ტიპის სასამართლოებით ან მოსამართლეებით (მაგ. საოჯახო საქმეთა სასამართლოები/ მოსამართლეები, ან მოსამართლე ქალთა ასოციაციები, მაგალითად საქართველოში და სხვა იურისდიქციებში). თუმცაღა, ამის საპირისპიროდ, ზოგიერთ ქვეყანაში სხვა ასოციაციები, გარდა დომინანტი გაერთიანებისა, ახერხებენ საერთო იურისდიქციის ყველა სასამართლოს მოსამართლეების გაერთიანებას.

იან ოლზანოვსკის თქმით, ზემოთ აღნიშნული ეხება პოლონეთს, სადაც არსებობს ერთი *მთავარი* და ერთიც *მცირე* ასოციაცია, Iustita და Themis. რუმინეთში „რუმინეთის მაგისტრატი მოსამართლეების ასოციაცია“ (Asociaþia Magistraþilor din România), რომელიც 1993 წელს დაარსდა, ძირითადად დომინანტი გაერთიანებაა, მიუხედავად იმისა, რომ მას ამჟამად კონკურენციას უწევს ახალი ორგანიზაცია სახელწოდებით „რუმინეთის მოსამართლეთა ეროვნული კავშირი“ (Uniunea Naþionalã a Judecãtorilor din România) და „რუმინელ მოსამართლეთა ფორუმი“ (Forumul Judecătorilor din

România) (Beers 2012; Selejan-Guțan 2018). დასავლურ დემოკრატიებში, მაგალითად საფრანგეთში, არსებობს Union syndicale des Magistrats-ის (USM, წარსულში UFM) ტრადიციული მონოპოლია, რომელსაც ვერასდროს უწევს კონკურენციას Syndicat de la magistrature (SM), რომელიც ასევე „გენერალისტური“ ასოციაციაა. ნიდერლანდებში, „ჰოლანდიური სასამართლო სისტემის ასოციაცია“ (Nederlandse Vereniging voor Rechtspraak) მთავარი გაერთიანებაა, რომელშიც გაწევრიანებულია მოსამართლეთა დაახლოებით 70 პროცენტი, თუმცა ამავდროულად ქვეყანაში მცირე ასოციაციებიც ფუნქციონირებენ (Mak 2018). გერმანიაში, ტრადიციულ Deutscher Richterbund-ს ყველაზე დიდი შემადგენლობა, 16000-25000 მოსამართლე და პროკურორი ჰყავს, თუმცა მოგვიანებით შეიქმნა ახალი გაერთიანება „მოსამართლეთა ახალი ასოციაცია“ (Neue Richtervereinigung), რომელიც დაახლოებით 550 წევრს აერთიანებს (Wittreck 2018).

და ბოლოს, არსებობს **ჰეტეროგენული სისტემებიც,** კერძოდ იტალიასა და ესპანეთში. როგორც სილვიო ვინჩეტიმ აღწერა, იტალიაში სისტემა აგებულია Associazione Nazionale Magistrati-ის (მაგისტრატი მოსამართლეების ეროვნული ასოციაცია, ANM) ირგვლივ, რომელიც აერთიანებს სასამართლო სისტემის წარმომადგენლების (მოსამართლეები და პროკურორები) დაახლოებით 96%-ს. თუმცაღა, ANM-ი თავის მხრივ დაყოფილია ე.წ. “correnti”-ად. შედეგად, ANM-ი ქვეასოციაციების ფედერაციაა, რომლებსაც გააჩნიათ ძალზედ განსხვავებული შეხედულებები ადმინისტრაციულ, პოლიტიკურ და კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით. ამრიგად, იტალია ხასიათდება ექვსი ასოციაციისგან შემდგარი შედარებით ფრაგმენტირებული ლანდშაფტით, სადაც ოთხი ასოციაცია წამყვანია, ხოლო ერთი კი არის საერთო ინსტიტუციური პლატფორმა Associazione Nazionale Magistrati, რომელიც ხელს უწყობს მოსამართლეთა ასოციაციებს შორის დიალოგს და ახდენს მათ შეაკავშირებას კონკრეტული საკითხების ირგვლივ. ეს გულისხმობს შიდა განსხვავებების თანაარსებობას და დიალოგის წარმოების უნარს, რათა თავიდან იქნას აცილებული დაპირისპირება და ორმხრივი დელეგიტიმაცია. როდესაც 1960-იან წლების გამონაკლის პირობებში, მაგისტრატმა მოსამართლეებმა დატოვეს ANM-ი და შექმნეს Unione Magistrati Italiani (UMI), როგორც ცალკე და პარალელური ორგანიზაცია, ამას შედეგად მოჰყვა მაგისტრატი მოსამართლეების იზოლაცია და საბოლოოდ UMI-ის მალევე დაშლა.

ესპანეთში, სადაც 2017 წლის მონაცემებით, 5364 მოსამართლეთაგან 2977 მოსამართლეთა ასოციაციებშია გაწევრიანებული, ფუნქციონირებს სამი მთავარი გაერთიანება Asociación Profesional de la Magistratura (კონსერვატიული, ითვლის 1300

წევრზე ოდნავ მეტს), Asociación Francisco de Vitoria (ზომიერი, დაახლოებით 800 წევრი), Jueces para la Democracia (პროგრესული, დაახლოებით 500 წევრი), თუმცა ასევე არსებობენ მცირე ზომის მოსამართლეთა ასოციაციები, როგორიცაა Foro Judicial Independiente (დაახლოებით 300 წევრი) ან Asociación Nacional de Jueces (Torres Pérez 2018). ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს შორის, უკრაინა ამ მხრივ შესაძლოა ერთ-ერთი ყველაზე ფრაგმენტირებული ქვეყანაა. უკრაინაში ცხრა „გენერალისტური" ასოციაცია ფუნქციონირებს, მათგან ზოგიერთი სასამართლო ხელისუფლების სხვადასხვა დაპირისპირებულ ოლიგარქიულ ჯგუფს წარმოადგენს (Trochev 2018).

დ) მოსამართლეთა ასოციაციის გავლენა და რისკები

მოსამართლეთა ასოციაცია ხშირად მოიაზრება როგორც ვექტორი სასამართლოს დამოუკიდებლობის გაუმჯობესებისაკენ მიმავალ გზაზე. თუმცა, სემინარზე წარმოდგენილმა პრეზენტაციებმა და შემდგომმა დისკუსიამ გამოკვეთა გარკვეული ეჭვები იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება აღნიშნული მოსაზრება ყოველთვის სიმართლეს.

პირველ რიგში, ჩნდება კითხვა მოსამართლეთა ასოციაციების ფაქტობრივ ზეგავლენასთან დაკავშირებით. სილვიო ვინჩეტიმ გაგვაცნო სამი გზა, თუ როგორ ახდენენ ასოციაციები ზეგავლენას პოლიტიკურ-კონსტიტუციურ დონეზე: არაფორმალური ზეგავლენა საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მეშვეობით (განცხადება, ოფიციალური პოზიცია, პრესრელიზი, ინტერვიუ და ა.შ.); ნახევრად ოფიციალური ზეგავლენა ზოგადი სამართლებრივი/ფორმალური ინსტრუმენტების მეშვეობით (მაგ. გაფიცვა, რასაც მოსამართლეები ზოგიერთ ქვეყანაში მიმართავენ, მათ შორისა იტალია, საფრანგეთი, ესპანეთი, პორტუგალია და ა.შ., თუმცა არა გერმანიაში ან საერთო სამართლის ქვეყნებში); ფორმალური ზეგავლენა მოსამართლეთა ასოციაციების სასამართლო მმართველობის ინსტიტუციურ ჩარჩოში ინკორპორაციის გზით (იუსტიციის საბჭოში მონაწილეობა, კონკრეტული ამოცანების განხორციელება, მაგალითად, ეთიკური ქცევის კოდექსის შემუშავება და ა.შ.). იან ოლზანოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსამართლეთა ასოციაციების წარმომადგენლობითობის დეფიციტი, რაც სხვათა შორის პოლონეთის შემთხვევაში გამოვლინდა, პოტენციურად ასუსტებს ასოციაციების ოფიციალურ პოზიციებს.

მეორე შეკითხვა შეეხება საკითხს, თუ რამდენად ახერხებენ მოსამართლეთა ასოციაციები ყოველთვის პოზიტიური შედეგების მოტანას (მოსამართლის დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების და ა.შ. კუთხით). პოლონეთის ქეისზე საუბრისას, იან ოლზანოვსკიმ აღწერა მოსამართლეთა ასოციაციების წინაშე

არსებული რამდენიმე რისკი. მაგალითად, არსებობს ბუნებრივი რისკი, რომ ასოციაცია გახდება ეგოიზმისა და კორპორატიზმის ინსტრუმენტი, მართული „გილდიური მენტალიტეტით“. კორპორატიზმი უნდა იქნას გაგებული, როგორც მიდგომა, რომელიც მიზნად ისახავს მართლმსაჯულების შიგნით სამართლიანობის საერთო სიკეთის ნაცვლად დარგობრივი ინტერესების წახალისებას. გარდა ამისა, და ამასთან დაკავშირებით, მოსამართლეთა ასოციაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას კონკრეტული მიზნების მისაღწევად როგორც სასამართლოს შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. იტალია ამ რისკების კარგი მაგალითია, რაც ნათლად გამოჩნდა სილვიო ვინჩეტიმ პრეზენტაციაში „პალამარას“ საქმესთან დაკავშირებით. მსგავსი კრიტიკა, განსაკუთრებით „კორპორატიზმისა და მოსამართლეთა ასოციაციების დომინირების“ შესახებ გაჟღერდა ესპანეთთან დაკავშირებითაც, სადაც „მოსამართლეთა გავლენიანი ასოციაციების წევრები […] საბჭოს წევრების შესარჩევ კონკურსში დაწინაურების უკეთეს შანსებს ფლობენ, ამ ასოციაციების მნიშვნელოვანი წონის გამო“. ამასთან, „მკვლევარების მიერ უკვე დადასტურდა, რომ იდეოლოგიური და პიროვნული სიახლოვე დიდ როლს ასრულებს სასამართლოში უმაღლეს თანამდებობებზე დაწინაურების მისაღწევად“ (Torres Pérez 2018).

გარდა ამისა, იან ოლზანოვსკიმ დაამატა, რომ ზემოაღნიშნული სოციალური და პოლიტიკური ფუნქციების განხორციელებისას, ასოციაციების წინაშე მდგარი საჭიროება რომ მოიცვან მაქსიმალურად დიდი აუდიტორია, ასევე გულისხმობს მედიატიზაციის, რთული საკითხების გამარტივებისა და, შესაძლოა, სასამართლო სისტემის დელეგიტიმიზაციის რისკს, რომელიც პოლარიზაციის შედეგად ყალიბდება. ასევე, პოლიტიკურ აქტორებთან (განსაკუთრებით პოლიტიკურ პარტიებთან) თანამშრომლობის აუცილებლობა სასურველი პოლიტიკური შედეგების მისაღებად, შესაძლოა საზიანო აღმოჩნდეს ასოციაციების დამოუკიდებლობისათვის.

უფრო ზოგადად კი, სილვიო ვინჩეტიმ იტალიის ქეისის შესწავლის შედეგად დაასკვნა, რომ მოსამართლეთა ასოციაცია უნდა იქნას განხილული როგორც კონტრძალაუფლება, ისევე როგორც სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც კონტროლს საჭიროებს. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, როდესაც მოსამართლეთა ასოციაციებს, პირდაპირ თუ ირიბად, მნიშვნელოვანი უფლებამოსილებები ენიჭებათ სასამართლო მმართველობის სისტემებში (Garoupa – Ginsburg 2009). მაშასადამე, მოსამართლეთა ასოციაციას შეუძლია პოზიტიური როლი შეასრულოს იქ, სადაც ინსტიტუციური სისტემა ითვალისწინებს რეალურ სასამართლო ანგარიშვალდებულებას პოლიტიკისა და საზოგადოების წინაშე. იქ, სადაც ანგარიშვალდებულების დეფიციტია, რისკები უფრო რეალურია, ხოლო

მოსამართლეთა ასოციაციები კი უარყოფით როლს ასრულებენ. როგორც სილვიო ვინჩეტიმ აღნიშნა: „მოსამართლეთა ასოციაციების ძლიერ და აქტივისტურ არსებობას აზრი აქვს ისეთ კონსტიტუციურ მოწყობაში, სადაც სასამართლო სისტემა რეალურად ანგარიშვალდებულია პოლიტიკური (ანუ დემოკრატიული) ხელისუფლების წინაშე. იტალიის შემთხვევაში, სასამართლო ანგარიშვალდებულების არასაკმარისი კონსტიტუციური მექანიზმები მოსამართლეთა ასოციაციებს ძალაუფლების ხელში ჩაგდების ცდუნების წინაშე აყენებს, რაც საბოლოოდ ზიანს აყენებს სასამართლოს მიუკერძოებლობასა და დამოუკიდებლობას“. ამ თვალსაზრისის სისწორე შეგვიძლია დავამტკიცოთ იმ ფუნდამენტური ცვლილებებით, რომელიც იტალიაში მოსამართლეთა ასოციაციებმა განიცადეს 1990-იანი წლებიდან დღემდე. რეფორმებამდე კი, ძლიერი პოლიტიკური პარტიები აწონასწორებდნენ მოსამართლეთა ასოციაციების სიძლიერეს, ხოლო პოლიტიკური პარტიების მნიშვნელოვანმა კრიზისმა, მოსამართლეთა ასოციაციები სრულიად განსხვავებულ მდგომარეობაში ჩააყენა (Morrone 2021). საერთო ჯამში, ამით შეიძლება აიხსნას სხვაობა იტალიის ქეისსა და სხვა ქვეყნების, მაგალითად პოლონეთს შორის. ანალოგიურად, სლოვაკეთში სასამართლო საბჭო „დაიპყრეს მოსამართლეებმა, რომლებმაც გამოიყენეს საკუთარი ძალაუფლება სასამართლო სისტემის ხელში ჩასაგდებად და დღემდე თავიანთ უფლებამოსილებას საკუთარი ინტერესების დასაცავად იყენებენ“ (Spáč – Šipulová – Urbániková 2018).

აუდიტორიის მიერ დასმული შეკითხვები

კითხვა-პასუხის სესიაზე, გაჟღერდა შემდეგი საკითხები.

პირველი საკითხი ეხებოდა მოსამართლეთა და მათი გაერთიანებების მონაწილეობას კანონპროექტების შემუშავების პროცესში. ამასთან დაკავშირებით, სიმონე ბენვენუტიმ მაგალითების სახით დაასახელა მოსამართლეები და მოსამართლეთა ასოციაციები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ კანონპროექტების მომზადების პროცესში. სილვიო ვინჩეტის კონცეფციის თანახმად, ეს შესაძლებელია მოხდეს არაფორმალურ, ნახევრადფორმალურ ან ფორმალურ დონეზე. ფორმალურ დონეზე, იტალიაში მოსამართლეთა ასოციაციები მონაწილეობენ სასამართლო საბჭოში საკუთარი წარმომადგენლების მეშვეობით. კანონის თანახმად, იუსტიციის სამინისტრომ უნდა გაიაროს კონსულტაციები სასამართლო საბჭოსთან მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული კანონპროექტების შესახებ. ნახევრად ფორმალურ დონეზე, ბოლო ხანებში, მოსამართლეები იყენებენ გაფიცვის უფლებას და აპროტესტებენ კონკრეტული კანონმდებლობების მიღებას. დაბოლოს, იტალიაში მოსამართლეთა ასოციაციები ინარჩუნებენ არაფორმალურ ურთიერთობებს

იუსტიციის სამინისტროსთან და იუსტიციის სამინისტროში, სადაც მზადდება სამთავრობო კანონპროექტები მართლმსაჯულების შესახებ. მაშასადამე, ზოგადად იტალიაში მოსამართლეთა ასოციაციებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავებაში. სხვა ქვეყნებში, მათ შორის პოლონეთში, მოსამართლეთა ასოციაციებს ასევე აქვთ საშუალება ჩაერთონ სამართლებრივი რეფორმების განვითარების პროცესში (Grabowska-Moroz –Sniadach 2021). საფრანგეთის ქეისი ამ მხრივ განსხვავებულია, სადაც მოსამართლეთა ასოციაციების როლი გაცილებით ნაკლებია, რადგან მაგალითად, კანონპროექტების შემუშავების ვალდებულება აკისრია სამინისტროების მიერ შექმნილ კომისიებს (რომლებშიც შედიან უმაღლესი იერარქიის სასამართლო წარმომადგენლები და არა მოსამართლეთა ასოციაციების წარმომადგენლები).

მეორე საკითხი შეეხებოდა კონკრეტულ მაგალითებს, თუ როგორ ანხორციელებენ მოსამართლეთა ასოციაციები მაკავშირებლის როლს მართლმსაჯულებასა და საზოგადოებას შორის, რაც მნიშვნელოვან ასპექტად იქნა აღნიშნული 2020 წლის CCJE-ის №23 დასკვნაში. იტალიის შემთხვევაში, მაგალითად დასახელდა მოსამართლეთა ასოციაციების როლი 60-იან და 70-იან წლებში, რამაც ფართო დისკუსია გამოიწვია საზოგადოებაში, ასევე სილვიო ვინჩეტიმ დაასახელა საჯარო დემონსტრაციების ამკრძალავი კანონის მიღება 2022 წლის შემოდგომაზე.

მესამე საკითხი ეხებოდა პოლონელი მოსამართლეებისა და მათი კოლეგების მიერ ბოლო ხანებში გამართული დემონსტრაციებისა და მიტინგების გავლენასა და ხელშესახებ შედეგებს, რომლის შეფასებაც ძალიან რთულია. იან ოლზანოვსკის თქმით, აღნიშნული დემონსტრაციები ძალზედ მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისით, რომ პოლონელი მოსამართლეები არ გრძნობდნენ თავს იზოლირებულად საზოგადოებისგან, თუმცა რეალობისა და პოლიტიკური პროცესის შედეგების გათვალისწინებით, განსაკუთრებით კი ცენზურის შესახებ კანონის ძალაში შესვლის შემდეგ, მიღებული შედეგი საკმაოდ სუსტი აღმოჩნდა.

ასევე დაისვა შეკითხვა, თუ რამდენად შესაძლებელია, რომ უფლებამოსილმა ორგანომ შეაფასოს მოსამართლეთა დანიშვნის კანონიერება და რა როლი აკისრია ამ პროცესში მოსამართლეთა ასოციაციებს. იტალიაში ამგვარი გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სახელმწიფო საბჭოში. რეალურად, ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოებში მიმდინარე უზარმაზარი სამართალწარმოებები ირიბად უკავშირდება იმ როლს, რომელსაც მოსამართლეთა ასოციაციები ასრულებენ მოსამართლეთა დანიშვნასთან დაკავშირებით. და მართლაც, დანიშვნები ხშირად ხორციელდება არა პროფესიული მახასიათებლების, არამედ ერთგულების

(მოსამართლეთა ასოციაციებისადმი ლოიალობის) საფუძველზე, რაც ნათლად აისახება სასამართლო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთებებზეც. სულ რამდენიმე ხნის წინ, ამგვარ ფაქტს ადგილი ჰქონდა Corte di cassazione-ის პრეზიდენტის დანიშვნის შემთხვევაში.

კითხვები ასევე შეეხო შემდეგ საკითხებს: მოსამართლეთა ასოციაციების მართვა, შეუძლიათ თუ არა არამოსამართლე წევრებს ასოციაციაში აღმასრულებელი პოზიციების დაკავება; მოსამართლეთა ასოციაციების დაფინანსება; მოსამართლეთა ასოციაციების შესახებ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა (საჯარო ანგარიშები და ა.შ.). რაც შეეხება არამოსამართლე წარმომადგენელ/აღმასრულებელ პირებს, ხაზგასმით აღინიშნა, რომ ევროკავშირის ქვეყნებში მხოლოდ მოსამართლეა უფლებამოსილი იყოს მოსამართლეთა ასოციაციის წევრი და იმოქმედოს მისი სახელით. მოსამართლეთა ასოციაციის არაპროფესიონალი წარმომადგენლის ან აღმასრულებელი დირექტორის მოდელი, უფრო მეტად არამყარი დემოკრატიების ტიპური მახასიათებელია. თუმცაღა, ეს, სავარაუდოდ აძლიერებს მოსამართლეთა ასოციაციების მაკონტროლებელი ორგანოს ფუქნციას. აღსანიშნავია თურქეთთან დაკავშირებული ერთ-ერთი ასეთი ქეისი, რომელიც განხილული იქნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეში „ემინაგაოგლუ თურქეთის წინააღმდეგ“ (Eminağaoğlu v. Turkey). სასამართლომ დაადგინა:

> „აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ ამ კონკრეტულ მომენტში, მომჩივანი იყო ასევე ასოციაციის „Yarsav“ თავმჯდომარე, რომელიც იცავდა იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების ინტერესებსა და კანონის უზენაესობის პრინციპს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ HSYK-ში სამართალწარმოების მიმდინარეობისას, მომჩივანმა განმარტა, რომ მან სადავო განცხადებები გააკეთა ზემოთ აღნიშნული ასოციაციის თავმჯდომარის რანგში. ამასთან დაკავშირებით, სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც არასამთავრობო ორგანიზაცია ყურადღებას ამახვილებს საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხზე, ის ანხორციელებს საზოგადოებრივი მაკონტროლებლის როლს, როგორიც აქვს მაგალითად პრესას (იხ. Animal Defenders International, ციტირებულია ზემოთ, §103) და შეიძლება დახასიათდეს, როგორც საზოგადოებრივი „მოდარაჯე ძაღლი“, რომელიც იმსახურებს კონვენციით ისეთივე დაცვას, როგორიც ეკუთვნის პრესას“ (პარ. 134).

დისკუსიის მიმდინარეობისას ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჩვეულებრივ, მსგავსი პრობლემები ევროკავშირის სხვა ქვეყნებში ხშირი არ არის.

რაც შეეხება დაფინანსებას, მოსამართლეთა ასოციაციები, როგორც ნებისმიერი სხვა გაერთიანება, დაფინანსებას იღებენ საწევრო შენატანებიდან, ასევე ეროვნული ან საერთაშორისო/უცხოური გრანტებიდან. პოლონეთში მაგალითად, უცხოური გრანტები გამოყენებული იქნა მოსამართლეთა ასოციაციებზე თავდასხმისათვის, იმის სადემონსტრაციოდ, რომ ისინი არ იყვნენ დამოუკიდებლები. ასოციაციების საქმიანობის შესახებ საჯარო ინფორმაციის ნაკლებობასთან დაკავშირებით, რაც, როგორც ჩანს, მოსამართლეთა ასოციაციების პრობლემაა საქართველოში, აღინიშნა, რომ მოსამართლეთა ასოციაციებს ევროკავშირის ქვეყნებში, როგორც წესი, აქვთ ვრცელი ვებგვერდები, სადაც აქვეყნებენ ინფორმაციას თავიანთი საქმიანობის შესახებ და ასევე გამოსცემენ ჟურნალებს.

დასკვნებისა და რეკომენდაციების შეჯამება

ვინაიდან მოსამართლეთა ასოციაციები ასრულებენ მთელ რიგ ფუნქციებს, ასევე გააჩნიათ სხვადასხვა ფორმა და ზოგადი ორგანიზაციული სტრუქტურა, კავშირი მოსამართლეთა ასოციაციების დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის საკმაოდ კომპლექსური და არამკაფიოა. რასაკვირველია არსებობს შემთხვევები, როდესაც მოსამართლეთა ასოციაციები დადებით ფუნქციას ასრულებენ. „სასამართლო საბჭოების ევროპული ქსელის“ მიერ მომზადებული 2014-2015 წლის ანგარიშის „სასამართლოს და პროკურატურის დამოუკიდებლობისა და ანგარიშვალდებულების შესახებ“ თანახმად, პოლონელი მოსამართლეების რაოდენობა, რომლებიც მიიჩნევდენ, რომ ასოციაციები არ სცემდნენ პატივს მათ ავტონომიურობას, აღმოჩნდა საკმაოდ დაბალი (მხოლოდ 1 პროცენტი); ასევე დანიაში, აღქმა, რომ მოსამართლეთა გაერთიანებები საფრთხეს უქმნიან დამოუკიდებლობას, საგრძნობლად დაბალია, ხოლო ლიტვაში მოსამართლეთა ასოციაციები ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებენ; რუმინეთსა და სლოვენიაშიც დაფიქსირდა დაბალი აღქმა კორუფციასა და ასოციაციების მხრიდან დამოუკიდებლობისადმი უპატივცემულობასთან დაკავშირებით.

მოსამართლეთა ასოციაციის, როგორც თვითმმართველობითი ინსტიტუციის როლი უდავოა, რადგან მას შეუძლია პოზიტიური გავლენის მოხდენა დამოუკიდებლობაზე, ხოლო არადამაკმაყოფილებლად ფუქნციონირებად მოსამართლეთა გაერთიანებას შეუძლია „სერიოზული ზიანის“ მიყენება (Beers 2012). უკრაინის ქეისის ანალიზის დროს, ალექსეი ტროჩევმა აღნიშნა, რომ მოსამართლეთა ასოციაციები აკონტროლებენ და უზრუნველყოფენ საკუთარი წევრების ლოიალობას როგორც სასამართლოს ბოსების, ისე პოლიტიკური მფარველების მიმართ. ეს კოლექტიური თვითდისციპლინა, თავის მხრივ, შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა მიზნებისთვის,

მაგალითად ურჩი მოსამართლეების სამართავად (Trochev 2018). სლოვაკეთში მაგალითად, ზოგიერთი ასოციაცია მხარს უჭერდა არცთუ კარგი რეპუტაციის მქონე უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს ჰარაბინს (Kaosar – Spac 2021 გვ. 126), ასევე ქვეყანაში არსებობს აღქმა რომ ასოციაციები პატივს არ სცემენ დამოუკიდებლობას და კორუმპირებულები არიან. ესპანეთში, პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ საბჭოს შემადგენლობის ფორმირებაზე, რადგან მოსამართლეთა ასოციაციები იქმნება პოლიტიკურ შეხედულებებსა და პოლიტიკურ პარტიებთან არაოფიციალური, თუმცა უდაო კავშირებზე დაყრდნობით (Garpoupa და სხვ. 2012). სემინარის მიმდინარეობისას, ასევე დასახელდა სხვადასხვა პრობლემური საკითხები. როგორც პოლონეთის ქეისზე დაყრდნობით აღინიშნა, შეუძლებელია მოსამართლეთა ასოციაციებიდან მომდინარე რისკების გამორიცხვა; ხოლო რაც შეეხება იტალიის შემთხვევას, მოსამართლეთა ასოციაციებმა ნამდვილად უარყოფითი ზეგავლენა მოახდინეს ქვეყნის სასამართლო სისტემაზე. მთლიანობაში, საკმაოდ სარისკოა კავშირების დამყარება მოსამართლეთა ასოციაციებსა და მეორეს მხრივ, დამოუკიდებლობასა და ანგარიშვალდებულებას შორის. ზოგადად, მოსამართლეთა ასოციაციებს აქვთ პოტენციალი შეასრულონ კორპორატიული ინსტრუმენტის როლი - მათი ფუნქცია სულაც არაა მეტი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, მაშინ როდესაც სასამართლოს ანგარიშვალდებულების ინსტიტუციური სტრუქტურა დემოკრატიული ხელისუფლების მიმართ არადამაკმაყოფილებელია.

თუმცა, ნებისმიერ რეკომენდაციაში გათვალისწინებული უნდა იყოს ქვეყნის თავისებურებები. ამ მიზნით, მნიშვნელოვანია სისტემატურად შეფასდეს ამ ანგარიშის პირველ ნაწილში ხაზგასმული ასპექტები. მოსამართლეთა ასოციაციების მზარდი აქტუალობისა და მათი ბოროტად გამოყენების პოტენციალის გათვალისწინებით სასამართლო სისტემის შიგნით თუ გარეთ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, ჰქონდეს უფლება შექმნას ასოციაცია - ნებაყოფლობითი გაერთიანება კერძო სამართლის ქვეშ - რომელიც აღიარებული იქნება კონსტიტუციურ დონეზე. ეს მოუტანს მოსამართლეთა ასოციაციებს დამატებით ლეგიტიმაციას, წევრობა აღარ ჩაითვლება პროფესიული (ნეგატიური) შეფასების კრიტერიუმად და ასოციაციებიც აღარ დადგებიან აკრძალვის რისკის წინაშე.

ასევე აუცილებელია მოსამართლეთა ასოციაციების სამართლებრივი რეგულირება, რათა გათვალისწინებული იქნას უფლებების ნებისმიერი შეზღუდვა. ასეთ შემთხვევებში, როგორც უკვე აღინიშნა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „ნ.ფ. იტალიის წინააღმდეგ“ (Gisbert 2022) მიღებულ

გადაწყვეტილებაში, ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს კანონის განსაკუთრებულ სიცხადეს. ამასთან, ნებისმიერი შეზღუდვა უნდა იყოს დასაბუთებული. პოლონეთის ქეისის ანალიზისას, იან ოლზანოვსკიმ შეგვახსენა, რომ ე.წ. 2019 წლის ცენზურის კანონით, მოსამართლეებს დაეკისრათ ნებისმიერ გაერთიანებაში საკუთარი წევრობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება (Sanders 2020).

სასამართლო ანგარიშვალდებულების სისტემაში ყველა ღონისძიების კონტექსტუალიზაციის შემდეგ, აუცილებელია სიფრთხილით შეფასდეს თუ რამდენად მიზანშეწონილია მოსამართლეთა ასოციაციების სასამართლო მმართველობის ფორმალურ არქიტექტურაში პირდაპირი ჩართვა. რეალურად ყოველთვის იარსებებს რისკი იმისა, რომ მოხდება მოსამართლეთა ასოციაციების ბოროტად გამოყენება ან ისინი გადაიქცევიან ძალაუფლების უკონტროლო სტრუქტურებად. ამ თვალსაზრისით, მოსამართლეთა ასოციაციების ჩართვა საკონსულტაციო ორგანოებში, ბელგიისა ან ბულგარეთის მსგავსად, ნამდვილად კომპრომისული ვარიანტია.

გამოყენებული ლიტერატურა

Avbelj M., ‘Contextual Analysis of Judicial Self-Governance in Slovenia’, in German Law Journal, 2018, 7, pp. 1901-1930.

Benvenuti S. – Paris D., ‘Judicial Self-Government in Italy: Merits, Limits and the Reality of an Export Model’, in German Law Journal, 2018, 7, pp. 1641-1670.

Bojovic A. – Misailovic J. M., ‘Judges' associations and trade unions international standards and selected national practices’, in Strani Pravni Zivot 2022, 4, pp. 387-410.

Bustos Gisbert R., ‘Judicial Independence in European Constitutional Law’, in European Constitutional Law Review, 2022, 18, pp, 591–620.

Castillo Ortiz P. J., ‘Councils of the Judiciary and Judges’ Perceptions of Respect to Their Independence in Europe’, in Hague Journal on the Rule of Law, 2017, 9, pp. 315-336.

Donaire Villa F. J., ‘Judicial associations sue EU Council for unblocking MRR funds to Poland amidst rule of law crisis’, in Legal Issues, 18 October 2022.

Garoupa N. – Gili M. – Gómez-Pomar F., 'Political Influence and Career Judges: An Empirical Analysis of Administrative Review by the Spanish Supreme Court', in Journal of Empirical Legal Studies, 2012, 4, pp. 795–826.

Garoupa, N. – Ginsburg, T., 'Judicial audiences and reputation: perspectives from comparative law', in Columbia Journal of Transnational Law, 2009, 3, pp. 451-490.

Golubovic M., 'Judicial Professional Associations: Fostering Judicial Reform Through Civil Society Development', in Southeastern Europe, 2009, 3, pp. 48–62.

Grabowska-Moroz B. – Śniadach O., 'The Role of Civil Society in Protecting Judicial Independence in Times of Rule of Law Backsliding in Utrecht Law Review, Poland', 2021, 2, pp. 56–69.

Guarnieri C., 'Judicial Independence in Europe: Threat or Resource for Democracy?', in Representation, 2013, 3, pp. 347-359.

Gyöngy, P., 'The Obligation of Judges to Uphold Rules of Positive Law and Possibly Conflicting Ethical Values in Context. The Case of Criminalization of Homelessness in Hungary', in Netherlands Journal of Legal Philosophy, 2020, 2, pp. 196-217.

International Comission of Jurists, 'Turkey: the Judicial System in Peril: A briefing paper', 2016.

Kosař D., 'Beyond Judicial Councils: Forms, Rationales and Impact of Judicial Self-Government in Europe', in German Law Journal, 2018, 7, pp. 1567-1612.

Kosař D. – Spáč S., 'Post‐communist Chief Justices in Slovakia: From Transmission Belts to Semi‐autonomous Actors?', in Hague Journal on the Rule of Law, 2021, 13, pp. 107-142.

Lopéz Guerra L., 'Governing the justice system: Spain's judicial council', in notes PUBLIC SECTOR, 2001, 54.

Mak E., 'Judicial Self Government in the Netherlands: Demarcating Autonomy', in German Law Journal, 2018, 7, pp. 1801-1838.

Morrone A., 'La forza politica delle correnti e quel che si dovrebbe fare se i partiti volessero addomesticarla', in Politica del diritto 2021, 4, pp. 679-690.

O' Brien P., 'Never let a Crisis go to Waste: Politics, Personality, and Judicial Self-Government in Ireland', in German Law Journal, 2018, 7, pp. 1871-1900.

Pederzoli P. – Guarnieri C., 'The judicialization of politics, Italian style', in Journal of Modern Italian Studies, 1997, 2, 321-336.

Rossi N. 'L'etica professionale dei magistrati: non un'immobile Arcadia, ma un permanente campo di battaglia', in Questione Giustizia, 2019, 3.

Sanders A., 'Muzzling Associations of Judges: The Duty of Judges to Declare Membership in an Association Under Poland's so-called "Muzzle Law"', in Verfassungsblog, 5 March 2020.

Selejan-Guțan B., 'Romania: Perils of a "Perfect Euro-Model" of Judicial Council', in German Law Journal, 2018, 7, pp. 1707-1740.

Sledzinska-Simon A., 'The Rise and Fall of Judicial Self-Government in Poland: On Judicial Reform Reversing Democratic Transition', in German Law Journal, 2018, 7, 1839-1870.

Spáč S. – Šipulová K. – Urbániková M., 'Capturing the Judiciary from Inside: The Story of Judicial Self-Governance in Slovakia', in German Law Journal, 2018, 7, pp. 1741-1768.

Torres Pérez A., 'Judicial Self-Government and Judicial Independence: The Political Capture of the General Council of the Judiciary in Spain', in German Law Journal, 2018, pp. 1769-1800.

Vauchez A., 'The Strange Non-Death of Statism: Tracing the Ever Protracted Rise of Judicial Self-Government in France', in German Law Journal, 2018, 7, pp. 1613-1640.

Wittreck F., 'German Judicial Self-Government - Institutions and Constraints', in German Law Journal, 2018, 7, pp. 1931-1950.

Zeller E., 'Access points for infringements of judicial independence—a practical tour d'horizon', in ERA Forum, 2019, 20, pp. 129-139.